ოქმი:**ო08. 3724061001**
თარიღი:**01/03/2024**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 27 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
17.30 -18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, ნ. მახარაძე, დ. დარჩია.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში, ჟღენტის ქუჩა ნ 4-ში (ს/კ 26.26.48.558) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა ხ.

სურგულაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ ასევე მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მესამე საკითხზე, აქაც კონკრეტული ინფორმაცია საკითხის შესახებ გააკეთა თანამომხსენებრლმა ხ. სურგულაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტი წარედგინოს ბიუროსა და სკრებულოს სხდომას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის, ხოლო N 2,3 განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი